ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით შარაშიძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზეზია ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. ვინაიდან აღნიშნული კანონის მიხედვით საჯარო დაწესებულების მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით და საბაზო თანამდებობრივი სარგოს კანონით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით, ხოლო პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება კანონით დადგენილი შესაბამისი ზედა ზღვრის კოეფიციენტის ფარგლებში განსაზღვრული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით. საბაზო თანამდებობრივი სარგო კი ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ შესახებ კანონპროექტით იზრდება 10 პროცენტით და განისაზღვრება 1600 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გამრავლდეს ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ,, საქართველოს კანონით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტებზე და აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანია დადგენილების კანონმდებლობათან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილების N1 და N2 დანართში.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო და (საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება: დადგენილების პროექტის მიღება

დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, რაც გულისხმობს 2025 წლის დამტკიცებული სახელფასო ბიუჯეტის 10 % ზრდას.

გ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარიტა მგალობლიშვილი.

დ)დადგენილების პროექტის ავტორები: პროექტის ავტორია უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში თამარ ახალაძე.

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში თამარ ახალაძე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარიტა მგალობლიშვილი